საერთაშორისო სავაჭრო პალატა

ახალგაზრდული პროექტი

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ერთ-ერთი პროგრამის **ახალგაზრდული პროგრამა** ICC Youth Georgia - მიზნად ისახავს ახალგაზრდა წარმატებული და აქტიური სტუდენტების ჩართვას და მომზადებას სამომავლო ბიზნეს გარემოსთვის, რომელშიც მათ მოუწევთ მუშაობა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მთავარი მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში მყოფი ახალგაზრდა სტუდენტების დასაქმებას და კარიერულ წინსვლას, როგორც ბიზნეს ასევე სამოქალაქო საზოგადოების სექტორში.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ახალგაზრდულ პროექტში გაწევრიანებულია ექვსი თბილისში მოქმედი უნივერსიტეტი - თავისუფალი უნივერისტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივირსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ICC Youth-ში დაკომპლექტებულია სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც არიან საკუთარი უნივერსიტეტების წარმომადგენლები და ახორციელებენ სტუდნეტებისათვის სასარგებლო პროექტებს საერთშორისო სავაჭრო პალატის მეშვეობით.

ICC Youth-ის პროექტების განხორციელება დაფუძნებულია გამოცდილ და აპრობირებულ პროგრამაზე, რომელიც მოიცავს:

მასტერკლასებს ICC-ს წევრი კომპანიებისგან :

- Corporate Social Responsibility, CSR
- Skills development

- Time Management
- Decision-Making
- Business Communication
- Managerial Marketing
- Managerial Micro and Macro Economics
- Database project researches
- Professional writing development
- Business Ethics
- Business Letters

ICC Youth-ი ასევე მიზნად ისახავს მასტერკლასებში მონაწილეობას წამყვანი ბიზნესმენებისგან და მათი გამოცდილების სტუდენტებისათვის გაზიარებას და წევრი სტუდენტების დასაქმებას საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრ კომპანიებში.

ICC Youth-ის წევრი სტუდენტები ჩართულნი არიან ბიზნეს გეგმის შეჯიბრებაში, რომელიც წელიწადში ტარდება ერთხელ, ამასთანავე სხვადასხვა სპორტულ თუ გამაჯანსაგებელ ღონისძიებებში, რაც გუნდური მუშაობის პრინციპის ამაღლებას განაპირობებს.

ICC Youth Georgia ახალგაზრდა წევრებს სთავაზობს მოახდინონ იდეების შეჯამება და გამოცდილ ადამიანთან კონსულტაციის შედეგად დაკომპლექტება - თუ რომელი იდეა წარმოადგენს რელევანტურ რეალობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქართულ რეალობაში, რის შემდეგაც კომპანიები უზრუნველყოფენ სტუდენტებს საჭირო მითითებებით ბიზნეს გეგმის შედგენასა და რეალიზებაში (შეხვედრების მითიტებების საშუალებით).

კომპანიის იდეის პროექტის სრულფასოვნად წარდგენის შემთხვევაში სტუდენტების ეძლევათ მისი რეალობაში განხორციელების უფლება, რასაც კომპანია უზრუნველყოფს ფინანსური მხარდაჭრით.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა მაქსიმალურ მხარდაჭერას აღუთქვამს ახალგაზრდული პროექტის სტუდენტების წარმომადგენლბს.